ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№47 6686 8 დეკემბერი ხუთშაბათი

## ზამთარი გვაფრთხილებს

ზამთარი ადრიანად დაიწყო დეკემბრის პირველსავე დღეს მოთოვა და მას შემდეგ 4—5 დღე თოვდა ქარბუქიც იყო ლეჩხუმი თოვლის საბურველში გაეხვია ზოგიერთ მაღალმთიან სოფელში თოვლის სიმაღლემ ერთ მეტრსაც მიაღწია გზები ჩაიკეტა ადრიანმა ზამთარმა ახალი საზრუნავი საფიქრალი გაგვიჩინა ისედაც ყოველმხრივ გაჭირვებულებს

როგორც სინოპტიკოსები გვატყობინებენ ტელევიზიითაც ვუყურებთ ასეთივე ნაადრევი ზამთარია მთელ საქართველოში კვლავ მოსალოდნელია თოვა ცუდი ამინდები დიდი ყინვები უკვე მესამე დღეა ჩვენთან თოვა შეწყდა მოიწმინდა და ალალი ყინვები დაიწყო მაგალითად 6 დეკემბრის ღამით და დილით ყინვამ 14—15 გრადუსს მიაღწია

დღეს საქართველოში ყოველმხრივი გაჭირვებაა მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა არავის სცალია ჩვენთვის ჩვენი პრობლემებისთვის ქუთაისსა და სხვა ქალაქებსა და რაიონებს ჩვენზე მეტად უჭირთ არ აქვთ ელექტროენერგია გაზი წყალი და დახმარება და თანადგომა იქით უნდათ

სამწუხარო ის არის რომ ზამთარს მოუმზადებელი შეხვდა რაიონის ბევრი წარმოება —ორგანიზაცია სოფლის ქალაქის მცხოვრებები ქალაქის ზოგიერთ ორგანიზაციაში სათბობის უქონლობის გამო ცეცხლი არ უნთიათ თანამშრომლები ერთიორი საათით თუ შევიდნენ დაწესებულებაში მაშინაც პალტოებ ჩაცმული დათბუნული არიან მეტწილ ორგანიზაციებში კი გასათბობად ელექტროენერგიას იყენებენ რის გამოც ისედაც დიდ დავალიანებას ახალი ემატება ხოლო გადახდაზე არავინ ზრუნავს ამიტომ რაიონი დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების გადაუხდელობისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის საშიშროების წინაშე დგას

ზამთრის ამ გრძელ ღამეებში ისედაც პოლიტიკურად დაძაბულ დროს შეიძლება ითქვას ინფორმაციის სრულ ვაკუუმში მოვექცით რესპუბლიკური პრესა კვირაობით არ მოდის თუ მოდის ისიც მცირე რაოდენობით ყველა ხელმომწერს ვერ აკმაყოფილებს ამასთან მთელი 5—6 დღე სატელევიზიო გადაცემებიც არ იყო ქუთაისიდან ბევრ სოფელს ელექტროენერგია არ მიეწოდება ამიტომ მამა—პაპურ ლამპასთან ატარებს დროს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ზოგს ისიც არ აქვს უნავთობის გამო

ცუდ მდგომარეობა—შია ცაგერი—წყალტუბომდე და ალპანამდე საავტომობილო გზები ადამიანები ვართ ჭირია თუ ლხინი მიმოსვლა აუცილებელია ქუთაისისკენ მხოლოდ ალათო ოროლა კერძო მანქანა თუ წავა და მძღოლიც იმოდენა თანხას თხოულობს მგზავრობის ღირებულებად ყველას არ შეუძლია მისი გადახდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი ამ უამინდობის დროს კი არა კარგ ამინდებშიც იშვიათად დადიოდა

ნაადრევ ზამთარს ორგანიზებულობა უნდა დავუპირისპიროთ თუ საჭირო გახდება დროულად უნდა გადაითოვლოს შენობა—ნაგებობები საგზაო ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა ილონონ რათა საიმედოდ გაიწმინდოს ცენტრალური გზები მოაგონ ყინვადამშლელი მასა მოაწყონ ავტომანქანის ასაქცევები და შექმნან საავტომობილო მიმოსვლის ყველა პირობა ხოლო ავტოინსპექციამ განსაკუთრებული კონტროლი უნდა დააწესოს ტრანსპორტის მოძრაობაზე რათა არც ერთი ავტომანქანა არ გამოვიდეს ტრასაზე მოცურების საწინააღმდეგო საშუალებათა გარეშე

ზამთარი წინაა საჭიროა ორგანიზებულობა დისციპლინა ურთიერთთანადგომა

## დაიწყო ხელმოწერა „ლეჩხუმზე“

დღეს როცა რესპუბლიკაში მძიმე ეკონომიკური პოლიტიკური მდგომარეობაა სატრანსპორტო მოძრაობა გაძნელებული და გაძვირებულია რაიონში ნაკლებად შემოდის რესპუბლიკური ჟურნალ—გაზეთები შეიძლება ითქვას ინფორმაციის ვაკუუმში მოვექეცით სულ რომ არ გამოეთიშოთ ამ ცხოვრებას და გაერკვეთ ყოველდღიურ ინფორმაციაში ამ საქმეში თქვენ დაგეხმარებათ ჩვენი გაზეთი „ლეჩხუმი“ იგი ყველა ოჯახის სასურველი სტუმარი უნდა იყოს

დაიწყო გაზეთ „ლეჩხუმზე“ ხელმოწერა და იგი 25 დეკემბრამდე გაგრძელდება გამოწერა შეგიძლიათ ყოველდღე გაზეთის რედაქციაში თუ რედაქციაში მოსვლას ვერ მოახერხებთ მიმართეთ თქვენს უახლოეს საფოსტო განყოფილებას „ლეჩხუმზე“ ხელმოწერა 6 თვით 500 ათასი კუპონი ღირს ბევრს შეიძლება ძვირად მოეჩვენოს რა შეიძლება იყიდო ამ ფასად 2 კილოგრამი გამომცხვარი პური

ლეჩხუმელებო ნუ დარჩებით „ლეჩხუმის“ გარეშე

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქცია

## მოსახლეობის საყურადღებოდ

ცაგერის ღვინის ქარხნის გაერთიანების !დირექციამ გადაწყვიტა წმინდა ბარბარეს დღესასწაული ბარბარობა ქ ცაგერის მოსახლეობას თავისებურად მიულოცოს 17 დეკემბერს ქალაქის მოსახლეობას შეეძლება უფასოდ მიიღოს ნორმირებული პური ღირებულებას !გაერთიანების დირექცია გადაიხდის

ცაგერის ღვინის ქარხნის გაერთიანების დირექცია

## და მაინც... ქალაქს ქალაქელმა უნდა უშველოს

### რამდენიმე კითხვა ცაგერის მერს ბატონ ომარ ჭაბუკიანს

—თქვენ ქალაქის მერი ბრძანდებით თანამდებობა თქვენთვის არ არის უცხო დიდი გამოცდილება დაგიგროვდათ და მით უფრო ჩემის აზრით დიდი პასუხისმგებლობაა ქალაქის მერიის ხელმძღვანელობა დღევანდელ დროში როცა ქალაქი სავსეა პრობლემებით როგორ ფიქრობთ რა შეგიძლიათ რით უშველით ქალაქს როგორ გესახებათ ქალაქის ხვალინდელი დღე

—ქალაქს მისმა მცხოვრებლებმა უნდა უშველონ სხვისი იმედი არ უნდა ვიქონიოთ ეს არ შეეხება ყველა პრობლემას—მხედველობაში მაქვს ქალაქის იერსახის დაცვა თავისი ლალი კულტურით ცნობილი ქალაქის მოსახლეობამ უნდა გააკეთოს დასკვნა რომ ... ეკადრება მოხეტიალე პირუტყვის გარემოცვაში ცხოვრება სკვერები პარკები გაზონები მწვანე საფარი ... დიდი ჟალისხმევით არის გაშენებული და სხვა ვინ დაიცავს თუ არა ჩვენ სამწუხაროდ დღეს ყველაფერი პირიქითაა ადამიანები აშენებულის გალამაზებულის გაპარტახებით არიან დაკავებული საკუთარი თვალით მინახავს ადრე ჩემთვის ფრიად საპატივცემულო ქალბატონი როგორ მიერეკებოდა ღორებს ქალაქის ცენტრალური პარკისკენ მაგრამ ვფიქრობთ რომ ეს დროებითი მოვლენაა ხალხი მალე მოვა გონს და საკუთარ ქალაქს გასაპარტახებლად არ გაიმეტებს ბუნებრივია რომ ქალაქის გამგეობა გულ—ხელდაკრეფილი არ იქნება ყველაფერს ილონებს ქალაქის იერ—სახის აღსადგენად

—მაინტერესებს როგორ მიმდინარეობს ქალაქის მოსახლეობის ჩართვა მიწის პრივატიზაციის პროცესში ქალაქის მოსახლეობა ჩემის აზრით ყველაზე დაჩაგრულია ამ მხრივ

—გამგეობა დაინტერესებულია იმით რომ მინიმალურად მაინც

დასასრული მე—2 გვერდზე

ია ხმელიძე

„გზა რომელსაც სიცოცხლისაკენ მიჰყავს“

იგი გზამ თვითონ მონახა ადამიანები—

## პირველი მისიონერული გზა

გზა ჰგავს და არც ჰგავს სხვებს ბილიკიანებს ტყიან—ხევიანებს ეკალ—ბარდიანებს ჰგავს გარეგნულად შინაგანი კი ეს პირველია ჩვენთვის უხსოვარი წლის შემდეგ

გზა რომელსაც ტაძრისკენ მიჰყავს გაორგულებული ღმერთდავიწყებული ურწმუნოების სახმილში ჩაყრილი ჩვენებურები ვისაც ამ გზის არსებობა გაუგია მაგრამ ვერ კი უნახავს

8 ნოემბერს ლეჩხუმში უდიდეს ისტორიულ მოვლენას დაედო საფუძველი დაიწყო პირველი მისიონერული მოგზაურობა რომლის

გაგრძელება მე—2 გვერდზე

თვალსაზრისი

# «მასწავლებელი რამ დაგვავიწყოს...»

დღეს ჩვენი რესპუბლიკა განსაცდელშია. განადგურების საფრთხე ემუქრება მთელს ერს. დაანგრიეთ ძველი და არავინ ფიქრობს ახალის აშენებაზე.

ახლის ასაშენებლად განათლებული და აღზრდილი ახალგაზრდობაა საჭირო. ასეთი ახალგაზრდობა კი სკოლის კედლებში უნდა გაიზარდოს. სკოლამ უნდა ჩაუნერგოს მას მამულის სიყვარული თუ სხვა ადამიანური გრძნობები. მერედა ვინ ფიქრობს დღეს სკოლაზე, მასწავლებელთა კეთილდღეობაზე?

მრავალგზის გაიქურდა ალპანის საშუალო სკოლა და გაიტანეს ყველაფერი, რაც ფასეული იყო. გაიძარცვა ფიზიკისა და მათემატიკის კაბინეტები, წაიღეს ტელევიზორი, საკერავი მანქანები, მაგნიტოფონები და სხვა. სახელოსნოდან წაღებულია მრავალი ხელსაწყო, ძრავები. მერედა ვინ იზრუნა და ბოლომდე მიჰყვა ამ საქმეს, არავინ. ყველაფერი გაუხსნელი დარჩა.

როგორც უკვე ვთქვი, მასწავლებლებიც საშინელ მდგომარეობაში არიან. ხელფასად მიღებული კუპონები არაფერს წარმოადგენს. მასაც ვერ აძლევენ დროულად. არც დაფასება აქვს პედაგოგებს სათანადო და არც უმადლის ვინმე ამ გაუსაძლის შრომას. არადა მასწავლებელი ხომ მთავარია ბავშვის შემდგომი სრულყოფილად ჩამოყალიბების საქმეში? რატომ დაგვავიწყდა იოსებ ნონეშვილის სიმართლით სავსე სტრიქონები:

მასწავლებელი რამ
დაგვავიწყოს
ჩვენთვის ზრუნავდა
ჩვენთვის შრომობდა
ქვეყნად არც ერთი
ბრძენი არ იყო
მასწავლებელი არა
ჰყოლოდა

დიახ, ეს ყველაფერი უკვე მივიწყებული სინამდვილეა. გმირია დღეს ყველა ის პედაგოგი, რომელიც არაფრის საფასურად მიდის სკოლაში მხოლოდ იმიტომ, რომ უყვარს საკუთარი პროფესია, ზრუნავს მოსწავლისათვის, მაგრამ ამანაც დაკარგა უკვე ხიბლი, რადგან ოჯახებს ველარ არჩენენ და ალპანის საშუალო სკოლა უკვე ექვსმა პედაგოგმა დაწერეს განცხადებები და ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე დატოვეს უსაყვარლესი პროფესია.

როცა სკოლას და ბავშვებს ტოვებს პედაგოგი, ეს არ არის ერის ტრაგედია? რა თქმა უნდა არის, ამას ყველა გრძნობს, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს.

ქვეყანაში დატრიალებულმა უპრეცედენტო მოვლენებმა, დაუსჯელობის სინდრომმა განაპირობა ყველაზე საშინელი და დამღუპველი რამ — ახალგაზრდობამ სწავლაზე გული აიცრუა. ბევრი ახალგაზრდა ქურდობაზე ფიქრობს, ქურდი მისი იდეალი გახდა. იქნებ არც ეს არის ერის ტრაგედია?! იქნებ არც ეს საჭიროებს წინასწარ დაფიქრებას და განსჯას?!

მეორე ტრაგედია ქვეყნისა და ახალგაზრდობისა არის სწრაფვა დიპლომების მოსაპოვებლად კომერციული სასწავლებლებისკენ. სწორად იქნა აღნიშნული „საქართველო დიპლომიანთა ქვეყანააო“. დღეს მთავარია დიპლომი და არა შესაბამისი განათლება. მერედა ვინ უნდა წამოაყენოს ფეხზე ჩვენი და ნგრეული ეკონომიკა, ჩვენი გათელილი და ყველას მიერ გაჯიჯგნილი საქართველო ცოდნამ თუ დიპლომმა?! არც ამაზე ზრუნავს ვინმე.

სპეკულაციას დღეს „საპატივცემულო“ სახელი ბიზნესი დაარქვეს. არ იქნა სწორად გაგებული, თუ რას ნიშნავდა ბიზნესი და ბიზნესმენი. ბევრი ფიქრობს, ვიყიდი, გავყიდი და ბიზნესმენი ვიქნებიო. თუ არავინ შექმნა პროდუქცია, ან რას იყიდიან, ან რას გაყიდიან, ესეც დასაფიქრებელია.

კიდევ ბევრი რამ არის დასაფიქრებელი და ღრმად გასაანალიზებელი. მანამდეა საჭირო განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალგაზრდობის აღზრდას, ჩამოყალიბებას, სანამ კიდევ დროა, სანამ არ გაწყვეტილა ახალგაზრდობაში ის ძარღვი, რასაც სინდისის ძარღვი ჰქვია. ამ საქმეში პედაგოგთა ღვაწლია დასაფასებელი.

**ელისაბედ—ლიუდმილა ჩაკვეტაძე**

ალპანის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე

ფოსტა

# მეწყერს ნუ ვესუმრებით

ყველასათვის ცნობილია, რომ 1987 წელს დაიმეწყრა და დაინგრა ქვედა ცაგერის ვარდის უბნის მცხოვრები 13 ოჯახის სახლ-კარი, რომლებიც ახალ ადგილზე გადასახლდნენ. დარჩენილია ამ უბანში 37 ოჯახი, რომლებიც მოქმედი მეწყრის ახლოს ქვემოთ ცხოვრობენ, სადაც უხვნალექიანობის დროს ყოველთვის მოსალოდნელია დამეწყვრა. ამ უბანში მცხოვრებ 10 ოჯახს აქვს გეოლოგების დასკვნა, რომ მათი სახლები გადასატანია ახალ ადგილზე, მაგრამ სამოსახლოები არ მოგვცეს იმ მოტივით, რომ ჯერ სახლები დაარღვიეთ და მერე მოგცემთო. ამიტომ ვერსად გადავსახლდით. ამ ოჯახების სახლებზე და სხვებთანაც შეიმჩნევა ახალი ბზარები. მაგალითად, გ. მუშკუდიანის სახლის კედლის ერთი ნაწილი რამდენიმე დღის წინ ჩამოინგრა.

დამეწყრილ ტერიტორიაზე ყოფილ კოლმეურნეობის ფართობზე შარშან და წლეულს მეზობელი უბნის მცხოვრებლებმა თვითნებურად დაიკავეს ფართობები, შემოღობეს და დაამუშავეს დამეწყრილი ადგილები, რაც საფრთხეს უქმნის და აჩქარებს მეწყრის გააქტიურებას.

ყველამ კარგად იცის, რომ დამეწყრილ ადგილზე ნიადაგის დამუშავება არ შეიძლება. ეკოლოგიურად ეს კანონის დარღვევაა. იმის ნაცვლად, რომ იქ მრავალწლიანი ნარგავები გაშენდეს, დრენაჟი გაუკეთდეს, კორდი მომაგრდეს, რის შედეგადაც წყლები ხევში გადავიდეს, ხდება სრულიად საწინააღმდეგო. კიდევ მეტი, აღნიშნული მეწყრის ირგვლივ რაც [illegible] და ბუჩქი იყო, გაჩეხეს და გაანადგურეს. მართალია დღეს [illegible] გვიჭირს [illegible], მაგრამ გაჭირვება საერთო უნდა იყოს და ერთის ბედნიერება მეორის უბედურებაზე არ უნდა ავაგოთ.

საჭიროა ამ საკითხს მეტი ყურადღება დაუთმოს რაიონის ხელმძღვანელობამ და პირველ რიგში ბუნების დაცვის რაიონულმა კომიტეტმა, საკითხის ადგილზე შესწავლის შემდეგ ჩაატარონ საჭირო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობასთან, რომ დამეწყრილი მიწისადმი ასეთი მიდგომა დაუშვებელია, კანონსაწინააღმდეგოა.

ამასთან აუცილებელია დაჩქარდეს მიწის პრივატიზაცია, რათა ყველამ იცოდეს, რომელი მიწის ფართობია მის საკუთრებაში და თვითნებურად ნუ შეიჭრება სარეზერვო თუ სხვა ფართობებში.

**ქვედა ცაგერის ვარდის უბნის მცხოვრებნი**

# გადაარჩინა

15 ოქტომბერია, დილის 10 საათი. სკოლის შენობასთან კვამლის შავი ღრუბლები გამოჩნდა. ნელი ნელ იძენძებოდა თალხი ღრუბლები და სკოლისთვის უხილავ სიწმინდის თავზე უხილავ კონტურებს ხაზავდა. უცებ ცეცხლის დასისხლიანებული ენებიც გამოჩნდა და ამ დროს სკოლის ეზოში განგებამ თუ გამოიყვანა ელგუჯა გაჭრაძე. სკოლის დარაჯი შენიშნა თუ არა, კი არ დაიბნა, საოცარი ენერგიითა და გონივრული მოქმედებით ცეცხლს მიაშურა. ცეცხლი ამჟამად უმოქმედო სასადილო ოთახში გაუჩნდა მოძველებულ ელექტროგაყვანილობას. არ შეუდრკა ელგუჯა, ცეცხლის ალს გაზის ბალონებს ხელი დაავლო, იქაურობას გააშორა. მერე მშველელებს უხმო: ზურაბ ხეცურიანს თუ დათო ახვლედიანს, ვასილ სვანიძის ოჯახს თუ სხვებს და ვინც კი ოდნავ ისმინა ეს შემზარავი ფაქტი „სკოლა იწვებაო“, აჩქარებული ნაბიჯით კი არა, ფრენით გაჩნდნენ იქ და ერთმანეთს გვერდით დაუდგნენ.

სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ნანი ქარსელაძემ მშველელად რაიონსაც უხმო. უცებ მოედო ეს ამბავი ყველას და თუმცა შემფერხებელი პირობები არსებობდა, სულ მალე რაიონის სახანძრო და მილიციის რაზმი, გამგებლობა თუ უბრალოდ გულშემატკივარი იქ გაჩნდნენ, მაგრამ ხანძარი უკვე აღარ დახვდათ. ეს ელგუჯას, ზურაბის, დათოს, ვასილ სვანიძის დიდი ოჯახის და სხვების სიმამაცემ გადაარჩინა ჩვენი სკოლა.

სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა დააფასა ელგუჯას სიმა— ვინც ოდნავ მაინც მოუცხადეს და ფულადი საჩუქარი გამოუყვეს.

მადლობა ყველას, ვინც ოდნავ მაინც გულთან მიიტანა ეს ფაქტი, ვინც თუნდაც მერე მოვიდა, ხანძარი რომ ჩაქრა, რადგან გული შინ არ დაუდგა. მე თამამად ვიტყვი, ნუ გაუხარდება მტერს, ჩვენ კიდევ გვყავს, გვეზრდება თაობები, რომელთაც შეუძლიათ ერთმანეთის თანადგომა, დახმარება, სიყვარული და სიკეთე.

**ნანა კენჭაძე**

**ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგი**

# გვიმრავლოს ასეთი მკურნალები

ამ დაქცეულ ნანგრევებად ქცეულ ქვეყანაში კიდევ თუ ვინმეს ჰქონდა დარჩენილი სითბო და სიყვარული, აღარ მეგონა. მაგრამ ღმერთმა ნუ გამოგვილიოს ისეთი თბილი და კეთილი ადამიანები, როგორც ცაგერის საავადმყოფოში აღმოჩნდნენ. ამ რამდენიმე დღის წინ მძიმე ავადმყოფი ბავშვი მივიყვანეთ საავადმყოფოში. გასინჯა რა რაისაავადმყოფოს მთავარმა პედიატრმა ნარგიზა ჭაბუკიანმა, ყველა ღონისძიება მიიღო ავადმყოფის გადასარჩენად, მაგრამ ცარიელი ხელებით ვერაფერს გახდნენ. ბავშვისათვის საჭირო იყო ოპერაცია, რისთვისაც წავიყვანეთ ქუთაისში, სადაც დაგვხვდა ჩვენი რაიონიდან წასული მედდა ქალბატონი ნუნუ სადინაძე. იგი ლეჩხუმისეული სითბოთი შეგვხვდა და ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიგვიღო.

რაისაავადმყოფოს ექიმების მირანდა სილაგაძის, ეთერ გაგლუანის, ალუდა ზურაბიანის, როლანდ ავალიანის ზრუნვამ და ყურადღებამ, ცოდნამ და გამოცდილებამ ხელი შეუწყო სწორი დიაგნოზის დასმას. ბავშვი გადარჩა.

**ლელა ახვლედიანი**

**ნემსწვერიძე**

**სოფ. უცხერი**

რედაქტორი
ნ. ნემსაძე

ეკონომიკა

# კომპეტენტური აზრი

**განვაგრძობთ პასუხების ბეჭდვას კითხვაზე**
**1. რას ეფუძნება ლეჩხუმის ეკონომიკა?**
**2. რა შესაძლებლობანი არსებობს მის ასაღორძინებლად?**
**3. ხდება თუ არა დღეს რომელიმე სამსახურის მიერ ეკონომიკური პრიორიტეტების შემუშავება?**

**მერაბ ბუბავა**
**სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსი**

ყველა კომპეტენტური პიროვნება დამეთანხმება რომ დღესდღეობით ლეჩხუმის ეკონომიკა შეიძლება ითქვას ჭაობში არის გამოკიდებული და უახლოეს პერიოდში პერსპექტივაც არ ჩანს ასეა რესპუბლიკის მასშტაბითაც ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს რადგან ერთი ფორმაციის შეცვლას მეორეთი ნგრევა მოყვება ალორძინებას განვითარებას კი დრო უნდა და მაინც არ შეიძლება დრო დავკარგოთ საჭიროა იმ პერსპექტივების დასახვა რომელიც ლეჩხუმის ეკონომიკის განვითარებას განაპირობებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია სხვისი ხელის შემყურე იყო ყველა შესაძლებლობა ყველა რესურსი უნდა გამონახოს რაიონმა რომ რაიონის ბიუჯეტის დეფიციტი მინიმუმამდე დავიყვანოთ რისთვისაც საჭიროა პირველ რიგში მაქსიმალურად გამოვიყენოთ რაიონის ბუნებრივი რესურსები მეხილეობა მევენახეობა მინერალური წყლები რომლის ტრადიციები და დიდი გამოცდილებაც ჩვენ გაგვაჩნია მაგრამ ალბათ პირადულმა ამბიციებმა და უკონტროლობამ მთლიანად მოუშალა ტრადიციებს ის მართლაც ყოველმხრივ მომგებიანი დარგი რასაც ზედ დაერთო მეცხოველეობის განადგურება

თითქმის ჩამოსათვლელია რაიონში სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელები რომლებიც დღევანდელ პირობებში თუ ვერ მუშაობენ თავიანთი ორგანიზაციების ძირითად საშუალებებს მაინც ინახავენ მზადყოფნაში აქვთ მათ ხელის შეწყობა უნდათ მათზე დახარჯული თანხა ასმაგად უბრუნდება ბიუჯეტს

არასახელმწიფო ორგანიზაციებზე მინდა მოგახსენოთ რადგან ფირმების შემდგომ განვითარებაზე იქნება დამოკიდებული რაიონის ხვალინდელი ეკონომიკის სიძლიერე—მათაც ყურადღების მიქცევა ხელშეწყობა სჭირდებათ—და არა რომელიმეს გამორჩევა მასზე მთელი აქცენტის გადატანა და შემდეგ საჩვენებლად გამოცხადება

და მაინც დღეის მდგომარეობით რაიონის ეკონომიკის ყველაზე რეალურ საფუძვლად მიმაჩნია ლაჯანურჰესი ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ როგორმე მოხერხდეს ლაჯანურჰესის შემოსავლები რაიონს მოხმარდეს თუმცა ლაჯანურჰესი [illegible] ლიც ვერ დააფინანსებს საბიუჯეტო ორგანიზაციების ადრე დაგეგმილ შტატებს

ლოიალობის პოლიტიკა შეუთავსებელია და დამღუპველი საბაზრო ეკონომიკისათვის

[illegible] გვერდით დავუდგებით ერთმანეთს ძალისმიერი სამსახურები საფინანსო განყოფილება საგადასახადო ინსპექცია რაიონის ეკონომიკური განყოფილება და—რაც მთავარია, მოქნილი საქმიანი წარმოება—ორგანიზაციების ხელმძღვანელები—მჯერა რაიონის ეკონომიკა მართლაც აღორძინდება და სხვისი შემყურე აღარ დავრჩებით

---

## და მაინც... ქალაქს

# ქალაქელმა უნდა უშველოს

**დასასრული**

ლაკმაყოფილოს ქალაქელები მარჩენალი მიწით რაც უნდა განხორციელდეს რეფორმის დღევანდელ ეტაპზე ვიმედოვნებთ რომ ამ საქმეში დიდ დახმარებას გაგვიწევს რაიონის ხელმძღვანელობა

**—თქვენ ხელი მოკიდეთ 48 ბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინების ობიექტურად განაწილების რთულ საქმეს რას გვეტყოდით ამაზე**

—48 ბინიანი საცხოვრებელი სახლის განაწილებისთვის შექმნილია ავტორიტეტული კომისია რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობით გაიდო რამდენიმე თვითნებურად დაკეტილი ბინა ზოგი კვლავ ძალმომრეობას მიმართავს ვიმედოვნებთ რომ განაწილება საბინაო კანონმდებლობის სრული დაცვით მოხდება

**—ქალაქი საერთოდ დაუცველია დღე-ღამის ნებისმიერ დროს ერთ პოლიციელსაც ვერ შენიშნავ მის ვერცერთ კუთხეში შეიძლება თუ არა ასე გაგრძელდება?**

ქალაქის მოსახლეობის დაცვის საკითხი მართლაც მწვავედ დგას დასამალი არ არის რომ პოლიციის უბნის ინსპექტორის საშტატო ერთეული დაუკომპლექტებელია ყოველ ნაბიჯზე გვახსენებს თავს დაუცველობის სინდრომი მაგრამ რესპუბლიკაში დაწყებული საერთო სტაბილურობის ფონზე მალე ალბათ ბევრი რამ გამოსწორდება

**—საბავშვო დაწესებულებების ზამთრისათვის მზადყოფნაზე რას გვეტყოდით?**

—ზამთრისათვის საბავშვო დაწესებულებების მზადყოფნას დამაკმაყოფილებლად ვერ ჩავთვლით სათბობის შემოსატანად დიდ ძალისხმევას იჩენს რაიონის ხელმძღვანელობა კაცი იმედით ცხოვრობს პატარების ხვედრი ყველას გვაწუხებს უყურადღებოდ მათი დატოვება არავის ეპატიება

**—დაბოლოს შეძლებთ თუ არა თქვენ გარკვეულ წილად მაინც დაამჩნიოთ ქალაქს თქვენი ხელი და გული თქვენი გამოცდილება გრძნობთ თუ არა დახმარებას რაიონული საკრებულოსგან?**

გამგეობა ცდილობს ქალაქს თავისი ხელი დაამჩნიოს მაგრამ საერთო არეულობისა და ქაოსის ფონზე ამის მიღწევა ადვილი არ არის ჩვენ ცდას არ დავაკლებთ ამას ყველა დაინახავთ მაგრამ ვთქვი და ვიმეორებ ყველაფერი ქალაქის მოსახლეობის ძალისხმევაზე შეგნებულობასა და პასუხისმგებლობაზე იქნება დამოკიდებული ხალხი უნდა მიხვდეს რომ ნგრევასა და გაპარტახებას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო

რაიონის ხელმძღვანელობისგან მორალურ მხარდაჭერას ვგრძნობთ დახმარებითაც მონდომებით გვეხმარებიან

---

# პირველი მისიონერული გზა

**გაგრძელება**

მიზანი ლეჩხუმში ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის გავრცელება იყო განა ქრისტიანები არა ვართო გაკვირვებით იკითხავს მავანი იქნებ ეგეცაა ჩვენი უბედურების თავი და ბოლო ქრისტიანები რომ გვქვია და არკი ვართ შევფარებივართ ამ სახელს და გულუბრყვილოდ გვჯერა რომ ხსნილნი ვართ რომ ღვთის-ბეჭედი მიგვილია და ეშმაკს ჩვენთან ხელი არა აქვს არადა ჩვენი ქრისტიანობა იქამდეც არ მიდის პირჯვრის გადაწერა მაინც ვიცოდეთ ჩვენი წარმოდგენები კი მწვალებლობას უფრო შეეფერება ვიდრე ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით მოგზაურობისას უკლებლივ ყველა სოფელში ერთნაირად გვხვდებოდნენ ადამიანები დაეჭვებულნი დადარაჯებულნი აქაოდა ხომ არ გვატყუებენო „იეღოველები" ხომ არა ხართო შემოგვკადრეს მეტე ცოდვა გამხელილი ჯობს და ის კი გვიხაროდა ჩვენი ხალხი ასეთი სიფრთხილით რომ ეკიდება უცხო აღმსარებლობას მაგრამ ამგვარმა გაუნათლებლობამ გაგვაოგნა—მართლმადიდებელი მღვდელი და ეკლესიის მსახურნი აგერიოს ხალხში რომელიც უარყოფს მღვდელსაც და ეკლესიასაც! რაც შეეხება ელემენტარულ უცოდინარობას არც გასაკვირია—თაობა რომელსაც ახსოვდა მოძღვარი ეკლესიები უკვე წავიდა და აქა—იქ თუ შეხვდები მოხუცს რომელიც ბავშვობაში მაინც დასწრებია ღვთის მსახურებას ამიტომაა ფუჭი გაოცებანარევი წამოძახილი—ქრისტიანები არა ვართო? ვართ და არცა ვართ

მოგზაურობის იდეა ლეჩხუმში ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე დანიელის ბოლო სტუმრობის დროს გაჩნდა გვერმა ალბათ იცის რომ მეუფე დანიელი საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილებას ხელმძღვანელობს და ოქტომბერში ამ განყოფილების წარმომადგენლებთან და მრევლთან ერთად მოგზაურობდა სვანეთში მაშინდელი მოგზაურობის ბოლო პუნქტი ცაგერი იყო და აქვე დაიგეგმა შემდგომი მოგზაურობა ამჯერად მისია ხელმძღვანელობდა მეუფე დანიელის „მარჯვენა ხელი" ლეჩხუმზე შეყვარებული შეიძლება ითქვას მისი განმანათლებელი დეკანოზი მამა პავლე ფაჩუაშვილი რომლის სახელთანაა დაკავშირებული ლეჩხუმში უძველესი ქრისტიანული წესით—მდინარეში ნათლობის შემოღება და რომლის მეცადინეობითაც გაიხსნა ცაგერში ეპარქიის მისიონერული ცენტრი

დღე პირველი—

**7 ნოემბერი სამშაბათი**

ლეჩხუმის „მოქცევას" ოყურეშიდან ვიწყებთ წვიმიანი დღეა და სოფელში არავინ გველოდება ნაშუადღევსღა მივაღწიეთ საკრებულოს შენობამდე მერე ორი საათი სოფლის შემოვლას დასჭირდა მხოლოდ საღამოხანს მოხერხდა ხალხის შეკრება საკრებულოში იმ დღეს 10 ადამიანი მოინათლა 10 ახლადმოქცეული სული შეემატა ქრისტეს ეკლესიას ერთად მოინათლენ დედა და ოთხი მოზრდილი შვილი და რაც უფრო ღირსშესანიშნავია—მოინათლა 80 წელს მიღწეული მამაკაცი იკურთხა და დაილოცა ოყურეშის საკრებულოს შენობა სოფელი ოყურეში და საკრებულოში შემავალი სოფლები იკურთხა სოფლის სასაფლაო ღმერთმა შეგვიწყალოს და სამუდამოდ დაგვაკავშირა ადამიანებს ვისაც ღვთის სიტყვის მოსმენა ენატრებოდა

**9 ნოემბერი ოთხშაბათი**

ადრე დილით გამოვდივართ ოყურეშიდან ზუბამდე დიდი მანძილი გვაქვს გასავლელი ცივა მაგრამ ღვთის წყალობით აღარ წვიმს გადაიკარა მშვენიერი დღე გამოზრწყინდა და ეს ანელებს გზის სიძნელეს გვიანი შემოდგომის ფერ-ტონები თვალსაც ახარებს და გულსაც მხოლოდ წეგოვანი ლეჩხუმური ტალახი გვეზიდება მიწისკენ ზუბშიც არ გველოდნენ ამის მიუხედავად 11 კაცი აქაც მოინათლა—მოინათლა იმის მიუხედავადაც რომ ციოდა და იმგვარ სუსხში ცივი წყლის გადავლების პერსპექტივა მაინცდამაინც სასიამოვნოდ არავის რჩებოდა

**გაგრძელება იქნება**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ

**ჯემალ კოპალიანის ოჯახს**
გილოცავთ თამაზის ბედნიერებას გფარავდეთ ღმერთი
**გია კოპალიანი ოჯახით**

---

**ზურაბ სვანიძის ოჯახს**
გილოცავთ იამზეს ბედნიერებას გფარავდეთ ღმერთი
**ბორისი ბადრი გია ოჯახებით**

---

**ზურაბ სვანიძის ოჯახს**
გილოცავთ იამზეს ბედნიერებას გფარავდეთ ღმერთი
**თამაზ ტვილდიანი ოჯახით**

---

**ცირა გუჯუ ბენდელიანებს**
გილოცავთ დალის ბედნიერებას
**დათო ხეცურიანი ჯუმბერ ცვარიანი ზაურ მიშა სერაპიონ გოჩა ახვლედიანები გელა მამარდაშვილი იზო კოპალიანი ლეილა ფუტკარაძე ოჯახებით**

---

**ჯენი მანდარიას**
გილოცავთ მადონას ბედნიერებას
**ვაჟა ჩაკვეტაძე გუჯუ მეგრელი გუგული ქარსელაძე მევლუდ ჩაკვეტაძე ოჯახებით**

---

**ჯენი მანდარიას**
გილოცავთ მადონას ბედნიერებას
**დათო ხეცურიანი ოჯახით**

---

**ნატო მახარობლიძეს ემზარ სილაგაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური
იხარეთ და გამრავლდით
**ირინა გასვიანი**

---

**ლელა სალინაძეს ზაალ ჩაკვეტაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას ღმერთი იყოს თქვენი მფარველი
**მაია ყურაშვილი**

---

**ქინვერ გიორგობიანს**
ქინვერ დეიდა! მოგილოცავთ დაბადების დღეს სიხარული ღიმილი ჯანი მთელი ნუ მოგაკლოს ღმერთმა დიდხანს გეცოცხლოს ასე ლამაზი სულით ქართველ-ქალობის ტვირთით და ღირსებით
**ფატიმა იმედა მირიან ჩხეტიანები**

---

**დალი ბენდელიანს დათო კოპალიანს**
გილოცავთ ბედნიერებას სიხარული ნუ მოკლებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს
**სოსო იური კოპალიანები გია ქომეთიანი ჯემალ ჭაბუკიანი ვიტალი ჩიხლაძე გრიშა ნემსწვერიძე გივი ლაკვეხელიანი ოჯახებით**

---

**ნატო ომანაძეს რომან არჯევანიძეს**
გილოცავთ ბედნიერებას გისურვებთ სიმრავლეს გფარავდეთ ღმერთი მრავალჟამიერ
**ალბერტ კოპალიანი ოჯახით**

---

**ლია ჩხეტიანს ეთერ გოლეთიანს**
გილოცავთ შვილების ბედნიერებას
**ცაგერის შემნახველი ბანკის კოლექტივი**

---

**ჟანანა მევლუდ ჩაკვეტაძეებს**
გილოცავთ პატარა თეონას შეძენას გაგეზარდოთ სასახელო
**გუგული ქარსელაძე დათო ხეცურიანი ჯენი მანდარია გუჯუ მეგრელი ვაჟა ჩაკვეტაძე იური მეგრელი ოჯახებით**

---

**სერგო მამუკას ძე გიორგობიანს**
სერგო! გილოცავთ დაბადების დღეს გაზრდილიყო ჯანმრთელი ქართველი ერის საამაყო ვაჟკაცი
**შენი ფატიმა იმედა და მირიანი**

---

**თამრიკო ბადრის ასულ გზოგავას**
თამუნა! გილოცავთ დაბადების დღეს გისურვებთ ჯანმრთელობას სიყვარულსა და სიხარულს გისურვებთ
**ფატიმა იმედა მირიანი**

---

**დარეჯან ომანაძეს გელა ხალიანს**
გილოცავთ ბედნიერებას ღმერთი იყოს თქვენი მფარველი
**გურამი ნიკა ჩაკვეტაძეები გოგუცა დუგლასი ომანაძეები ოჯახებით**

---

**ეთერ გოგი ომანაძეებს**
გილოცავთ ნატოს ბედნიერებას
**ასლან რევაზ ომანაძეები**

---

**ნატო ლურჭუმელიძეს გია ყურაშვილს**
გილოცავთ ბედნიერებას იმრავლეთ
**ლაშა გურჯალიანი ოჯახით**

---

**ეკა სილაგაძეს დათო ხვადაგიანს**
გილოცავთ ბედნიერებას იმრავლეთ იხარეთ
**შენი მამიდები და მამიდაშვილები ოჯახებით**

---

## ხსოვნა

რეზო შოთას ძე
კორძაია

ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ ჩვენო ძვირფასო და მარად დაუვიწყარო მამიკო კეთილი და გულთბილი იყავი ყველას მიმართ უზომოა ჩვენი მწუხარება ცრემლი არ შრება ბებიასა და დედიკოს თვალებზე დამწუხრებული არიან შენი დედმამიშვილები რა უდროოდ და მოულოდნელად წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე მოუშუშებელი სევდა და მწუხარება ცრემლიანი თვალებით გავყურებთ გზას და გელოდებით მაგრამ ამაოდ დაწყევლილი შეიქნა ჩვენთვის 1994 წლის 12 ივნისი ოჰ! რომ იცოდე მამიკო რა ძნელია ჩვენთვის უშენოდ მაგრამ ვერაფერს გვშველით ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ შენს ძვირფას სახელს ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული

**შენი შვილები მირიანი**

**და მირანდა**

---

მეუღლე ლიუჩკა შვილები ჯანსული ჯანიკო ციური სიძეები ჯოკია ირემაძე ჯემალ სილაგაძე ზაზა გურჯალიანი გოჩა შენგელია შვილიშვილები შვილთაშვილები იუწყებიან რომ გარდაიცვალა
**პარიმონ ლუკას ძე ჩორგოლიანი**
დაკრძალვა 11 დეკემბერს კვირას სოფ ლაილაშში

---

აგრომრეწველანკის ცაგერის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაზი ხაბულიანს დედამთილის
**მაროს**
გარდაცვალების გამო

---

როინ მაიზერ სილაგაძეები შუქური გვიმრიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ნათელა ლიპარტელიანი —სილაგაძის**
გარდაცვალების გამო

---

ჟორა კონსტანტინეს ძე ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჯანიკო ჯანსული ჩორგოლიანებს ჯოკია ირემაძის ოჯახებს მამისა და სიმამრის
**პარიმონ ჩორგოლიანის**
გარდაცვალების გამო

---

საქალაქო ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნატო სილაგაძეს მამიდის
**თამარას**
გარდაცვალების გამო

---

შვილები ციალა თინა ზოია ალტური რძალი ნაზი ხაბულიანი სიძეები ბუხუტი ომარი ინგელი შვილიშვილები მარინა გულო მერაბი სოზარი ნინო გია ირმა ასლანი მაია ელისო შვილთაშვილები ძმისშვილები მაზლიშვილები მულისშვილები იუწყებიან რომ გარდაიცვალა
**მარო მელქიზის ასული გახსოლიანი ფოჩხიძე**
დაკრძალვა 8 დეკემბერს ხუთშაბათს სოფ ჩხუტელში

---

აგრომრეწველანკის ცაგერის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინა ლიპარტელიანს ბიძის
**ვენედი ცხვედიანის**
გარდაცვალების გამო

---

ზურაბ მდივანი ოჯახით თანაუგრძნობს ნათელა და თამაზი მდივნებს
**რუსიკო და ვენედი ცხვედიანების**
გარდაცვალების გამო

---

ჟორა ბენდელიანი ოჯახით თანაუგრძნობს გივი ბენდელიანის ოჯახს
**ნანულის**
გარდაცვალების გამო

---

იუზა უგრეხელიძე ოჯახით თანაუგრძნობს თეგული სილაგაძის ოჯახს
**სერგო სილაგაძის**
გარდაცვალების გამო

---

შვილები გულვერი ნელი დალი დარიკო დარეჯანი რძლები ნინა ინეზა შვილიშვილები შვილთაშვილები იუწყებიან რომ გარდაიცვალა
**ფედოსი საბას ასული მეგრელი—გურჯალიანი**
დაკრძალვა 10 დეკემბერს შაბათს სოფ ორბელში

---

ქალოსი მეზობლები თეიმურ ილიანი რაჟაზ მეგრელი ლეშურ აბაშიძე სოზარ უჩავაძე ბიძინა ინდიკო ომარ გურჯალიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ზაირა და თეიმურ გურჯალიანებს დისა და ცოლისდის
**რუსიკო ცხვედიანის**
და ძმისა და ცოლისძმის
**ვენედი ცხვედიანის**
გარდაცვალების გამო

---

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ცირა ზურაბიანს მამის
**მექის**
გარდაცვალების გამო

---

ძმისშვილები გურამ ჯონი თეიმურ ჩორგოლიანები ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა
**პარიმონ ჩორგოლიანი**

---

ცაგერის სატყეო მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჯანსულ ჩორგოლიანს მამის
**პარიმონის**
გარდაცვალების გამო

---

და მარო ძმა ლეო ძმისწულები დარეჯანი გურამ რძლები ქესო ხუნუ ჩარკვიანები ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა
**ნინა დიმიტრის ასული ჩარკვიანი—ჭაბუკიანი**
დაკრძალვა 8 დეკემბერს ხუთშაბათს ქ ქუთაისში განსვენება სოლომონ პირველის ქ I შესახვევი

---

კულტურის განყოფილების საოლქო კულტურის სახლის ცენტრალიზებული ბუღალტრიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გივი ბენდელიანის ოჯახს
**ნანულის**
გარდაცვალების გამო

---

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციისა და რაიონული სტამბის კოლექტივი თანაუგრძნობს ყოფილ თანამშრომელს ლილი ლიპარტელიანს მეუღლის
**ვენედი ცხვედიანის**
გარდაცვალების გამო

---

ცაგერის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დესნა სილაგაძის ოჯახს
**გოჩა ქიშვარდის ძე გალამწარაშვილის**
გარდაცვალების გამო

---

ჟორა სერაპიონის ძე ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**სერგო სილაგაძის**
გარდაცვალების გამო

---

ლაილაშის საკრებულოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნელი ბიქტორის ასულ გურჯალიანს დედის
**ფედოსი საბას ასული გურჯალიანის**
გარდაცვალების გამო

---

კავშირგაბმულობის ლაილაშის განყოფილების ბიბლიოთეკის და კლუბის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნელი გურჯალიანს დედის
**ფედოსი გურჯალიანის**
და ოქტო გურამ ჯონი ჩორგოლიანებს ბიძის
**პარიმონ ჩორგოლიანის**
გარდაცვალების გამო

---

ნატო ბენიძე ოჯახით თანაუგრძნობს არტურ თინა ციალა თუთა ფოჩხიძეებს დედის
**მარიამ ფოჩხიძის**
გარდაცვალების გამო

---

ლაშა გურჯალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**გოჩა გალამწარაშვილის**
გარდაცვალების გამო

---

ცაგერის საშ სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ნათელა ცხვედიანს დის
**რუსიკოს**
და ძმის
**ვენედი ცხვედიანების**
გარდაცვალების გამო

---

ლაშა ლექსო ბენიძეები თანაუგრძნობენ ბესიკ ცხვედიანს მამის
**ვენედის**
გარდაცვალების გამო

ცაგერის რაიონული სტამბა